

## ჰომოსექსუალობის/ჰომოსექსუალების რეპრეზენტირება ქართულ მას-მედიაში

### შესავალი

ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ადამიანის ცნობიერებასა და ქცევაზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა, რათა გარკვეულ იდეალთა შესაბამისად მოხდეს მისი, როგორც პიროვნების სოციალიზაცია. ცალკეულ ასეთ პიროვნებათა საშუალებით კი იქმნება საზოგადოებრივი აზრი. ცხადია, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში სხვა სოციალური ინსტიტუტებიც მონაწილეობენ, მაგრამ ჟურნალისტიკის მიერ სინამდვილის მოდელირება უწყვეტი პროცესია. სწორედ ამიტომ წარმოადგენს ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უძლიერეს იარაღს.

ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, დამოუკიდებელი მედიის ჩამოყალიბება საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია და თავისი განვითარების დონით საქართველოში წინ უსწრებს სხვა სამოქალაქო ინსტიტუტებს. (კვლევა *“საქართველოს მედია რუკა”. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. თბ.2004*) მაგრამ რამდენად თავისუფალია მედია აზროვნების ტოტალიტარული წესისაგან? საბჭოთა რეჟიმის პირობებში, როდესაც მასმედიის საშუალებები სახელმწიფოს კუთვნილებას წარმოადგენდა, სახელმწიფო თავად ითავსებდა მთავარი იდეოლოგიისა და ცენზორის როლს. საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული ნეგატიური სტერეოტიპები «განსხვავებული» აზროვნებისა თუ ქცევის შესახებ არათუ აგრძელებენ არსებობას, არამედ ხშირ შემთხვევაში გაძლიერდა კიდევაც, რაც მნიშვნელოვან კონფლიქტს ქმნის დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების ფონზე. “სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილმა ჰომოფობიამ, ადგილი დაუთმო ინტერიორიზირებულ ჰომოფობიას. “უცხოს” დათრგუნვის მეთოდები უკვე გათავისებული აქვს საზოგადოებას...” (E.Барабан).

ტოტალიტარიზმი და ავტორიტარული რეჟიმი შეუთავსებელია პლურალიზმთან, და მათ შორის, სექსუალურ პლურალიზმთანაც. საბჭოთა პერიოდში არათუ “განსხვავებულ” სექსუალურ ქცევაზე, არამედ კულტურის მიერ დაშვებული სექსუალობაზე საუბარიც კი მკაცრად იყო რეგლამენტირებული. 90-იანი წლების დასაწყისიდან, ტაბუ მოიხსნა. პირველი ქართულენოვანი გაზეთი (გაზეთი “შანსი”), რომელმაც გაზეთა და პირველმა დაბეჭდა სტატია პროსტიტუციაზე, ეკლესიამ ანათემას გადასცა. საჯარო საუბრები სექსზე მძიმედ, მაგრამ მაინც დაიწყო. ქართული საზოგადოება “გამოუტყდა” საკუთარ თავს, რომ ფრაზა “უ ნას სეკსა ნეტ”, სწორად არ ასახავდა რეალობას.

საწყის ეტაპზე, სტატიები ძირითადად ეხებოდა სხვადასხვა სახის სექსუალურ დარღვევებს, აბორტის თემას, შიდსსა და პროსტიტუციას. ტერმინი ჰომოსექსუალიც პირველად შიდსისა და პროსტიტუციის თემასთან დაკავშირებით გამოჩნდა ქართულ პრესაში. 1-2 ვრცელი სტატიის გარდა, რომელიც დიდი ხნით იქცა განსჯის საგნად, დიდი ხნის განმავლობაში “ჰომოსექსუალი” მხოლოდ საზღვარგარეთ მოღვაწე შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა შესახებ უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალებში გვხვდება.

სიტუაცია მკვეთრად იცვლება 2000 წელს. ჰომოსექსუალობის თემამ პოლიტიკური ჟღერადობა შეიძინა. პრესაში ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება სტატიები მყვირალა სათაურებით: “საქართველოს ჰომოსექსუალისტები მართავენ”(გაზეთი *“რეზონანსი” N107*), “მიუხედავად იმისა, რომ “ცისფერები” არ მრავლდებიან, ისინი საკმაოდ მომრავლდნენ” (გაზეთი *“ახალი 7 დღე” N17*), “ცისფერიდან – შავამდე... პოლიტიკური პალიტრა” (გაზეთი *“მერიდიანი 44” N7*), “მეტაკუნე ევროპელი ვაჟკაცები” (გაზეთი *“ჩვენი მწერლობა” N11*), “ხალხის მტრები, სუკის აგენტები და... პედერასტები” (გაზეთი *“ჯორჯიან თაიმსი”, N9*)...

საინტერესოა, რომ პრესის ამგვარი გააქტიურება ემთხვევა 1999-2003 წლებში პოლიტიკურ ელიტაში მიმდინარე ძალაუფლების გადაწარმოების პროცესებს. პოლიტიკოსთა ნაწილი იმდენად ხშირად საუბრობდა ჰომოსექსუალიზმის პრობლემაზე, ჰომოსექსუალიზმთან “ბრძოლა” ლამის პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის ნაწილად აქციეს. ევრანიდან ხშირად გაიგებდით ასეთ მოწოდებებს: “ჰომოსექსუალები ერთ გემზე უნდა შეყარო და ზღვაში ჩაახრჩო”, “თუ დემოკრატიის პრინციპით ვიმსჯელებთ, მაგათ თავი უნდა დაანებო, თუ დიქტატურის – ავადმყოფი აკვანშივე უნდა მოკლა...” გარდა ღია ეთერით გაკეთებული პროფამისტური განცხადებებისა ზოგადად ჰომოსექსუალისტთა მიმართ, და პოლიტიკურ ფიგურათა სექსუალურ ორიენტაციაზე საუბრისა, აქტიურად იწყება მითის შექმნა «ცისფერების შეთქმულების» შესახებ, რომლებიც “ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავენ” (*“არატრადიციული სექსი” ხომ ყოველგვარი ტრადიციულის რღვევის საწყისი და აუცილებელი პირობაა, ხელისუფლებაში ამგვარ “არატრადიციონალისტთა” მოსვლით კი ქვეყნის ეროვნული ცნობიერებისა და*

*თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცებას ესმება ჯერჯერობით შეუმჩნეველი წერტილი...” გაზეთი “რეზონანსი N107”).*

დადგენილია, რომ სოციალური ფობიები და ჯგუფური სიძულვილის გამოვლინების სხვადასხვა ფორმები განსაკუთრებით ძლიერდება სოციალური თუ პოლიტიკური კრიზისის პერიოდებში, როდესაც აქტუალური ხდება ხილული მტრის ხატის, როგორც განსხვავებულის, «უცხოს» შექმნა. კოენის (შ. ჩოპენ) აზრით, მორალური პანიკის შექმნაში სწორედ მედიას მიუძღვის ლომის წილი, ვინაიდან სწორედ მისი მეშვეობით ხდება “აპოკალიფტურ მდგომარეობად” შეფასებული სიტუაციებისა და “უცხოს” სტერეოტიპიზირებული ხატის ტირაჟირება.

წინასაარჩევნო პერიოდის მედია სივრცე იმდენად იყო გაჟღენთილი ჰომოფობიური გამონათქვამებით, რომ იმ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რადიოარხის (რადიო 105) იუმორისტულ არტებშიც გამოჩნდა: “ბიჭები გადამალეთ! პედერასტები მოდიან.”

თუმცა, ამ პერიოდის მედია საშუალებების დისკურსიული სტრატეგიების ანალიზი (ტელე და რადიო სივრცის ჩათვლით), რომელიც აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკაში “ცისფერთა შეთქმულების” შესახებ მითის კონსტრუირებაში ცალკე სერიოზული კვლევის საგანია. საინტერესოა ისიც, რომ ეს პროცესები პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებშიც შეინიშნებოდა.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ, პანიკა “ცისფერთა შეთქმულების” შესახებ ჩაცხრა. როგორც წინამდებარე კვლევებიდან ჩანს, ჰომოსექსუალთა თემა ნაკლებად განიხილება პოლიტიკურ კონტესტში. სტატიებმა ჰომოსექსუალთა შესახებ, სერიოზული გამოცემების პირველი გვერდებიდან ნელ-ნელა “ყვითელი პრესის” ფურცლებზე გადაინაცვლა.

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა თავად ჰომოსექსუალის, როგორც “უცხოს” კონსტრუირების მეთოდმაც - ჰომოსექსუალი “უცხოდან” (ისინი, სხვები), ნელ-ნელა “შერყვნილ, დაავადებულ” “ჩვენ”-ად გადაიქცა. დაავადება კი შეიძლება გადამდები იყოს.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შერბილდა გამონათქვამები უშუალოდ ჰომოსექსუალთა მიმართ. ჰომოსექსუალთა მიმართ ძალადობის პირდაპირი და უშუალო მოწოდებები დისკრიმინაციის ფარულმა ფორმებმა და ირონიულმა დამოკიდებულებამ ჩაანაცვლა (*“უნდა აღვნიშნო, რომ სპექტაკლში შუასაუკუნეების ტანისამოსში გამოწყობილი მეფისტოფელი მეტად კომიკურია. მას ჰომოსექსუალისტის აქცენტი აქვს...”*). გაზეთი “ახალი ვერსია” N138).

დასასრულს, მინდოდა აღმნიშნა, რომ საინტერესო იქნებოდა აღნიშნული კვლევის შედეგებში 2000--2003 წლების პრესის ანალიზის ჩართვაც, რათა დაგვეჩვენა კონკრეტული მედია-საშუალებებში საკითხის წარმოჩენის სრული დინამიკა. სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. გაზეთების ნაწილმა შეწყვიტა არსებობა, ნაწილმა შეიცვალა დაფარვის ზონა და აუდიტორია, რომელზეც გათვლილი იყო, რის გამოც შეუძლებელი ან არასასურველი გახდა მათი ჩართვა წინამდებარე მცირე ზომის კვლევაში.

## კვლევის მეთოდოლოგია

### კვლევის კატეგორიები

#### ადრესანტი (ვინ საუბრობს)

1. ჟურნალისტი
2. მკითხველი ან შემთხვევით შერჩეული რესპოდენტი
3. პოლიტიკოსი
  - 3.1. პოზიცია
  - 3.2. ოპოზიცია
4. რელიგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი
5. შოუ-ბიზნესის წარმომადგენელი
6. ექსპერტი პროფესიონალი
  - 6.1. ფსიქოლოგი
  - 6.2. სექსოლოგი
  - 6.3. ვენეროლოგი
7. LGBT ჯგუფის წარმომადგენელი
  - 7.1. ლესბი
  - 7.2. გეი
  - 7.3. ბი
  - 7.4. ტრანსექსუალი
8. LGBT ჯგუფის წარმომადგენლის ოჯახის წევრები, მეგობრები

#### შეფასება

1. დადებითი
2. ნეიტრალური
3. უარყოფითი

#### ჰომოფობიის გამოვლენის ობიექტი

1. “არატრადიციული” სექსუალობა
  - 1.1. ლესბოსელობა
  - 1.2. მამაკაცთა ჰომოსექსუალიზმი
  - 1.3. ბისექსუალიზმი
  - 1.4. ტრანსექსუალიზმი
2. LGBT ჯგუფის კონკრეტული წარმომადგენელი
  - 2.1. ლესბი
  - 2.2. გეი
  - 2.3. ბი
  - 2.4. ტრანსექსუალი

#### საგაზეთო მასალის დახასიათება რუბრიკების მიხედვით:

1. გასართობი ხასიათის ინფორმაცია
  - 1.1. სპორტი
  - 1.2. შოუ-ბიზნესი
  - 1.3. სხვა
2. პოლიტიკა
3. საზოგადოება/სოციალური პრობლემა
  - 3.1. კრიმინალი
  - 3.2. სხვა სოციალური პრობლემა

## კვლევის მიზანი:

ჰომო/ბი/ტრანსსექსუალობისა და LGBT ადამიანების რეპრეზენტირება ქართულ მას-მედიაში (01.09-31.12.2005)

## აქედან გამომდინარე, კვლევის ამოცანებია:

1. რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოვლენა – რამდენად ხშირად საუბრობენ:

ა) ჰომო/ბი/ტრანსსექსუალობაზე

ბ) ლესბი, გეი, ბი, ტრანსსექსუალებზე

გ) რამდენად ხშირად ეძლევათ თავად LGBT ადამიანებს ილაპარაკონ საკუთარი სახელით

3. LGBT ჯგუფისა და ადამიანების წარმოჩენის გამოყოფილ კატეგორიებთან კავშირის ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოვლენა.

4. აღნიშნული საკითხების რეპრეზენტირებებს შორის სხვაობა სხვადასხვა სახის პრესაში.

5. ხდება თუ არა ჰომოფობიის, როგორც სოციალური პრობლემის წარმოჩენა.

## კვლევის სამუშაო ჰიპოთეზები:

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამოკვლეული გაზეთებისა და ჟურნალების დამოკიდებულება LGBT-სთან ზოგადად ნეგატიურია. პრობლემად წარმოჩენილია ჰომოსექსუალობა და არა ჰომოფობია. შესაბამისად, არ ხდება ჰომოფობიის, როგორც საშიში სოციალური პრობლემის იდენტიფიკაცია. ინფორმაცია ჰომო/ბი/ტრანსსექსუალობის ბუნების შესახებ ხშირად არაკომპეტენტურია და ნეგატიური განწყობის შექმნას უწყობს ხელს. LGBT ადამიანებს შესახებ უარყოფითი სტერეოტიპების გავრცელებას ხელს უწყობს არა მხოლოდ ყვითელი პრესა, არამედ ის გაზეთებიც, რომლებიც დემოკრატიულ ფასეულობებზეა ორიენტირებული.

კვლევა მოიცავს პერიოდს 2005 წლის 1 სექტემბრიდან 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.


## კვლევის ჩასატარებლად შერჩეული იყო შემდეგი ნაბეჭდი საშუალებები:

1. გაზეთი “რეზონანსი” (ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. დაფარვის ზონა – მთელი საქართველო. პოლიტიკური თვალსაზრისით შედარებით ნეიტრალურია.);
2. გაზეთი “ახალი თაობა” (ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. დაფარვის ზონა – მთელი საქართველო. წინა წლებში გამოირჩეოდა მკვეთრად ჰომოფობიური სახის პუბლიკაციებით);
3. გაზეთი «ახალი ვერსია» (საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ორ დღეში ერთხელ. დაფარვის ზონა – მთელი საქართველო. ოპოზიციური პრესა);
4. ჟურნალი «სარკე» (ყოველკვირეული ჟურნალი. ყვითელი პრესა. დაფარვის ზონა – მთელი საქართველო. ერთ-ერთი ყველაზე მაღალტირაჟიანი გამოცემა საქართველოში. სპეციფიური აუდიტორია არა ყავს);
5. ჟურნალი «მაქსი» - ჟურნალი ნამდვილი მამაკაცებისათვის (ყოველკვირეული ეროტიული ჟურნალი. დაფარვის ზონა – საქართველო. აუდიტორია – 16-45 წლამდე.);
6. ჟურნალი «ცხელი შოკოლადი» (ყოველთვიური მაღალპოლიგრაფიული ჟურნალი ელიტარულობის პრეტენზიით. გამოიცემა შედარებით მცირე ტირაჟით. აუდიტორია 20-45 წლამდე).

*მასალის დამუშავებისას, კვლევაში ჩართული იქნა ის სტატიებიც, რომლებიც უშუალოდ არ ეხებიან ჰომოსექსუალობას ან პერსონაჟები არ არიან ჰომოსექსუალები, მაგრამ ტერმინი გამოიყენება ტექსტში აქცენტებისათვის, გარკვეული განწყობის შესაქმნელად.*

მთლიანობაში გაანალიზებული იქნა 54 სტატია.


ნეიტრალურსა და უარყოფითს შორის (შეფასება)



როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, აღნიშნულ უარყოფით შეფასებათა რიცხვი თითქმის ორჯერ აღემატება ნეიტრალურს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჟურნალ “ცხელ შოკოლადს”, რომელშიც ერთადერთი სტატია დაიბეჭდა, რომელიც იტალიელი რეჟისორის პიერ პაოლო პაზოლინის შემოქმედებას ეხებოდა, განხილული მედია-საშუალებებიდან ყველაზე ნეიტრალური აღმოჩნდა გაზეთი “რეზონანსი” (უარყოფითი შეფასება – 33%, ნეიტრალური – 67%), რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ გაზეთში გამოქვეყნებული მასალების უმეტესობა წარმოადგენს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილ ნეიტრალური ხასიათის ინფორმაციას უცხოელ შოუ-ბიზნესისა და სპორტის სფეროში მოღვაწე ჰომო/ბი/ტრანსექსუალების შესახებ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თემაზე სასაუბროდ, ყველაზე ხშირად, სწორედ ეს გაზეთი მიმართავს ექსპერტებს (ფსიქოლოგი, სექსოლოგი). თუმცა, გაზეთში გამოქვეყნებული 2 ვრცელი სტატია (ერთი მათგანი სექსუალური პერვერსიების თემას ეხება, ხოლო მეორე – სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს და მათ პროფილაქტიკას) ნაწილობრივ, თუმცა კორექტულად ეხება ჰომოსექსუალთა თემასაც. ეს უკანასკნელი, ერთადერთი შემთხვევაა გაანალიზებულ გაზეთებს შორის, როდესაც ჰომოსექსუალობის გარდა სტატიაში სექსუალობის სხვა ფორმებზეცაა საუბარი. მასალის კვლევამ აჩვენა, რომ ბი და ტრანსექსუალობა ნაკლებად ხდება სერიოზული განსჯის საგანი. დისკუსია ძირითადად ჰეტერო-ჰომოსექსუალური მატრიცის ჩარჩოში მიმდინარეობს.

რაოდენობრივი მაჩვენებლების კვლევამ გამოავლინა ყველაზე ჰომოფობიური გამოცემაც: ყოველკვირეული ეროტიული ჟურნალი “მაქსი – ჟურნალი ნამდვილი მამაკაცებისათვის” (უარყოფითი შეფასება – 87%, ნეიტრალური – 13%). ჟურნალის ყოველ ნომერში შეხვდებით ჰომოფობიის გამოვლინების მთელ გრადაციას, ძალადობისაკენ უშუალო მოწოდებებიდან დაწყებული ჰომოსექსუალთა კარიკატურული პერსონაჟებით დამთავრებული. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტორიის გაფართოებაზე ზრუნვა, აიძულებს რედაქციას გენდერული სტერეოტიპებით დამძიმებული და ფემინოფობიური ხასიათის შენიშვნებით გაჯერებული ტექსტების გვერდით შეფარული ჰომოეროტიკული შინაარსის მასალაც გაუშვას ჟურნალში.

### ჰომოფობიის გამოვლინების სიხშირე ფორმების მიხედვით




კვლევის პროცესში გამოკვეთა ჰომოფობიის გამოვლინების სხვადასხვა ფორმები, რომელიც გამოყენების სიხშირის მიხედვითაა დალაგებული. სამომავლოდ, შესაძლებელია აღნიშნული ფორმების პირდაპირ ჩართვა სამუშაო მატრიცაში Haტე სპეცკ-ის ანალიზისათვის მედიაში.

1. შეფარული დისკრიმინაცია (“პოზოტიური” გენდერული ნორმების პროპაგანდირება)
2. LGBT ადამიანების დისკრედიტაციის მიზნით მითითებები მათ კავშირზე სოციალურ დევიაციებთან (ნარკომანია, ქურდობა, პროსტიტუცია...)
3. LGBT ადამიანების ნეგატიური ხატის შექმნა (ძირითადად დაკავშირებულია კონკრეტულ ბრალდებებთან)
4. LGBT ადამიანების დამამცირებელ კონტექსტში მოხსენიება
5. LGBT ადამიანების არასრულფასოვნების მტკიცება
6. LGBT ადამიანების დადანაშაულება საზოგადოებაზე ნეგატიური გავლენის მოხდენაში
7. LGBT ადამიანების დომინირება პოლიტიკის, შოუ-ბიზნესის ან სხვა სფეროში
8. LGBT ადამიანების დისკრიმინაციის ფაქტების გამართლება
9. უშუალო მოწოდებები ძალადობისა და დისკრიმინაციისაკენ (LGBT ჯგუფის ან კონკრეტული პირის მითითებით)
10. ჰომოფობიური შინაარსის ტექსტების ციტირება კომენტარის გარეშე

შეფარული დისკრიმინაციის მაღალი დონე საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების სიმყარეზე მიუთითებს. “ნამდვილი” ქალისა და მამაკაცის მკაცრი გენდერული როლების კონსტრუირება და მათი ტირაჟირება ჯერ კიდევ გადაულახავი პრობლემაა ქართული მედიისათვის. ტრადიციული ღირებულებების გადაფასების პროცესი საკმაოდ მძიმედ და ნელა მიიწევს წინ.

## “მოდური საშინელება”



საერთო ჯამში პრესა ყველაზე ხშირად ეხება ჰომოსექსუალობის თემას ზოგადად და ნაკლებად ინტერესდება კონკრეტული ადამიანებით. თუ შედეგებს განხილული მედია-საშუალებების მიხედვით დავაჯგუფებთ, აღმოჩნდება, რომ ეს ტენდენცია ძირითადად ახასიათებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის პრესას. ცალკეული შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ ადამიანებზეა საუბარი, ძირითადად ამოიწურება უცხოელი შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა ან სპორტსმენტა შესახებ ინფორმაციით (მაგ. “ელტონ ჯონი ოფიციალურად “გათხოვდა”; “ალის ქალიშვილი ლესბოსელობას უარყოფს”; ჯიმი ჰენდრიქსი “ცისფერი” იყო?! და სხვ.). აღნიშნული ტენდენცია ხელს უწყობს ჩვენთან არსებული სტერეოტიპის განმტკიცებას, “ჰომოსექსუალობის დასავლური წარმოშობის შესახებ”. (*“კარგად დაფასოებული დაბალი დონის კულტურით გვებრავენ და, რაც მთავარია, ეს მოგვწონს. ეს (ჰომოსექსუალობა) იმიჯის კეთების ფორმად იქცა. ჩემმა მეზობელმა ბიჭმა იმდენი იძახა ორიგინალური ვარ, მასისგან განვსხვავდებით, სანამ გეი არ გახდა.”. გაზეთი “რეზონანსი N107”).*

ამგვარი მეთოდი “განსხვავებული” სექსუალობისაგან დისტანცირების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. აღნიშნულ ინფორმაციებში ძირითადად ნეიტრალური განწყობაა ან მსუბუქი ირონია. ამგვარი განწყობის ჩამოყალიბებას სწორედ საკითხის დისტანცირება ეწყობს ხელს - სადღაც დასავლეთში მცხოვრებ ადამიანებზე და ჰომოსექსუალობაზე აბსტრაქტული მსჯელობანი საფრთხეს არ უქმნის რესპოდენტთა სექსუალური იდენტურობის განცდას.

სამაგიეროდ, ყვითელი პრესა სისტემატიურად აქვეყნებს მასალებს როგორც ზოგადად თემის შესახებ, ისე ინტერვიუებს კონკრეტულ ადამიანებთან. შესაბამისად, ფობიური დამოკიდებულებაც ყველაზე მეტად აქ იჩენს თავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერვიუერთა უმეტესობა პროსტიტუციით დაკავებული ჰომოსექსუალები არიან, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს სტერეოტიპს ჰომოსექსუალობის “გარყვნილი” ბუნების შესახებ და ამ ადამიანების ცხოვრების წესს ცალსახად უკავშირებს შიდსითა და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებით გამოწვეულ საფრთხეს.

### ჰომოფობიის გამოვლენა, როგორც “საზოგადოების გონიერების ნიშანი”

კვლევამ დაადასტურა წინასწარი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ჰომოფობია არ აღიქმება პრობლემად. თავისთავად ის ფაქტი, რომ ტექსტებში მხოლოდ ერთადერთგან გვხვდება თავად ტერმინი “ჰომოფობია”, ბევრის მეტყველია. მით უმეტეს, რომ ჰომოფობიის გამოვლინება “ერთადერთ ჯანსაღ” პოლიტიკადაა მიჩნეული.


*(“...არაბუნებრივი ურთიერთობანი და აქედან წარმოქმნილი აგრესია საზოგადოების სიჯანსაღს, მის მოდემს, მის შთამომავლობას მოშობით ემუქრება, რაც დამანგრეველი ძალაა და, ამდენად, საშიში მოვლენაა თავისთავად. საზოგადოება ვალდებულია, დაიცვას მისი მომავალი!” გაზეთი ახალი 7 დღე N17)*

თავისთავად, LGBT-ს მარკირება, როგორც სექსუალური უმცირესობისა, განსაზღვრავს სოციალური ჰეგემონიურობის დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობასა და მნიშვნელობას ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებაში. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი გამოიყენება დისკრიმინაციული პოლიტიკის გამართლებისა და დომინირებადი ფასეულობების ძალაუფლებრივ შენარჩუნებისათვის.

გრეგორი ჰერეკის (G. Haereck) აზრით, საზოგადოებაში, სადაც აგრესიული მასკულიზმის კულტი ბატონობს, ჰეტეროსექსუალური ქცევის იდეალი ძალაუფლების ერთგვარ ფორმად იქცევა. შესაბამისად, ჰომოფობიის გამომჟღავნება გაიგება არა როგორც თავისუფლების შეზღუდვა ან დათრგუნვა, არამედ როგორც მისგან განსხვავებული სექსუალობის მიმართ ბუნებრივი, საზოგადოდ მიღებული დამოკიდებულება.

ერთერთი რესპოდენტის აზრით, ჰომოფობია “გახლავთ საზოგადოების გონიერების ნიშანი, როცა იგი მიელტვის გაწონასწორებას და ცდილობს, დააკანონოს ბუნებრივი ურთიერთობები, როგორც სახელმწიფოებრივ ასპარეზზე, აგრეთვე, ადამიანის პირად ცხოვრებაშიც, როგორც სიცოცხლის გაგრძელების გარანტი”.

“ჰომოსექსუალიზა – დაავადება თუ გარყვნილება?”



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰომოსექსუალიზმასთან დაკავშირებით ატეხილი ისტერია, რომელიც 200-2003 წლებში იყო, ჩაცხრა. ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში, მხოლოდ 2 სტატია აღმოჩნდა, როდესაც პოლიტიკოსები ეხებიან ჰომოსექსუალიზმის თემას (ორივე სტატია დაიბეჭდა “ახალ თაობაში”). სიტყვა “ჰომოსექსუალი” ორივე წერილის სათაურშია გამოტანილი. ამგვარი რამ ხშირად გვხვდება ქართულ პრესაში, როცა პუბლიკაციის დასახელება უარყოფით ემოციურ დატვირთვას ატარებს და ხელს უწყობენ ნეგატიური განწყობის ჩამოყალიბებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სტატია შეიძლება საერთოდ არ იყოს კავშირში ჰომოსექსუალიზმასთან.

წარმოდგენილი ინტერვიუებიდან ერთი ოპოზიციის წარმომადგენელს ეკუთვნის, ხოლო მეორე - პოზიციას. სტატიაში, სადაც ოპოზიციის წარმომადგენელი ხელისუფლებას აკრიტიკებს და “ყოველივე ქართულისა და ტრადიციულის გადაგვარებაში” სდებს ბრალს, მამათმავლობა მხოლოდ ნეგატიური განწყობის გაძლიერების მიზნითაა ნათქვამი. თუმცა, სათაურში სწორედ ეს ფრაზაა გამოტანილი (“მართლმადიდებლობის მამათმავლობაში გაცვლა პროდასავლურობა არ არის”. ახალი თაობა N356). იგივე სიტუაციაა მეორე პუბლიკაციასთან დაკავშირებითაც. სტატია შინაარსობრივად პატიმრების მდგომარეობასა და კანონიერი ქურდის ინსტიტუტს ეხება. საინტერესოა, რომ რესპოდენტს სწორედ ქურდობასთან და ნარკომანიასთან დაკავშირებით “ახსენდება” ჰომოსექსუალიზა, როგორც ერისათვის საშიში სოციალური დევიაცია. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი სტატიის მიმართ იმ ფაქტმაც გამოიწვია, რომ რესპოდენტი ადამიანთა უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, ქ-ნი ელენე თევდორაძეა. ამიტომაც, ვრცელ ნაწყვეტს მოვიყვან ადნიშნული პუბლიკაციიდან:

“...დღეს ჩვენი უმთავრესი პრობლემაა უმუშევრობა, ნაკომანია, ქურდული ტრადიციების მიყოლა და ორიენტაციის შეცვლა.

- ორიენტაციის შეცვლაში რას გულისხმობთ?

- რა თქმა უნდა, სექსუალურ ორიენტაციას ვგულისხმობ. ჩემი აზრით, დიდი უბედურებაა, როცა ამდენი ახალგაზრდა იცვლის სექსუალურ ორიენტაციას. თუ ჩვენ ამ პრობლემებს სათანადოდ არ მივხედით, ხვალ შეიძლება კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ.

- თქვენი აზრით, როგორ უნდა ვებრძოლოთ იმ პრობლემას, რასაც ორიენტაციის შეცვლა ჰქვია?

- მათ, ვინც ამ ორიენტაციით დაიბადნენ, ვერაფერს მოვუხერხებთ. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ბევრი სექსუალურ ორიენტაციას მიმბაძველობით იცვლის. დღეს ეს საშინელება რატომღაც მოდურად ითვლება. ჩვენ ახალგაზრდობას არ უნდა მივცეთ იმის შესაძლებლობები, რომ ასეთ რაღაცებზე იფიქრონ. სექსუალური ორიენტაციის მასობრივი შეცვლა არანაკლები

*საშინელებაა, ვიდრე ქურდული სამყაროსადმი სწრაფვა.* (“რატომ იცვლიან ქართველი ახალგაზრდები სექსუალურ ორიენტაციას?”. ახალი თაობა N307)

მედია ანალიზმა აჩვენა, რომ “არატრადიციული” სექსუალობა, როგორც წესი, სოციალურ დევიაციებთან (ქურდობა, პროსტიტუცია, ნარკომანია) ერთად გვხვდება შესაბამის რუბრიკებში და სწორედ ამ კონტექსტში განიხილება (52%).

*“შოლკოვნიკი ცივო კიკალიშვილი მიიჩნევს, რომ ახლო მომავალში შესაძლოა, საქართველოში მაწანწალა-მათხოვარ-მეძავ-ჰომოსექსუალისტთა ჯგუფს არასრულწლოვანი ქილერებიც შეემატონ”. გაზეთი “ახალი ვერსია” N239; “ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოში მეძავთა ასაკი გაახალგაზრდავდა, ბიჭებში კი ჰომოსექსუალიზმის ნიშნებია”. გაზეთი “ახალი ვერსია” N167)*

აღნიშნული დისკურსიული სტრატეგია მიმართულია ჰომოსექსუალობის, როგორც საფრთხის წარმოსაჩენად. პრობლემის წარმოჩენის პროცესში აქტივობის ორ სახეს სიგნიფიკაციის გზით უკავშირებენ ერთმანეთს, რათა ხელოვნურად გაზარდონ მოსალოდნელი “საფრთხის” მასშტაბები და გააძლიერონ ნეგატიური ეფექტი.

ყურადსაღებია ისიც, თუ რა ტიპის ინფორმაციები ქვეყნდება ერთ საგაზეთო გვერდზე, სადაც ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებული სტატიაა განთავსებული. ასე, მაგალითად, ერთი სტატიის გვერდით გვხვდება ორი პატარა ინფორმაცია, რომელთაგან ერთი კიბოს გამომწვევ მიზეზებს შეეხება, მეორე კი სატანისტების ვებ-გვერდის შექმნის შესახებ გვაუწყებს (გაზეთი “რეზონანსი” N213). მეორეგან, მრავალმნიშვნელოვანი სათაურის გვერდით (“ჰომოსექსუალისტები. ავადმყოფები არიან თუ გარყვნილები?!”) მცირე ზომის სტატიაა წმინდანზე, რომელსაც ავადმყოფების განკურნება შეეძლო (“სწულთა მფარველი მატრონა”) (რეზონანსი N177). მესამე შემთხვევაში, სადაც საგაზეთო გვერდის 3/4 ტრანსექსუალთან ინტერვიუს უჭირავს (“მე გარეგნულად ვიყავი ბიჭი, ხოლო შინაგანად – იდეალური ქალი”), დარჩენილ ადგილზე დიდი ასოებითაა გამოტანილი მეორე სტატიის სათაური “დასცინე პრობლემებს!”, რომელიც სიცილით თერაპიის მეთოდს ეხება (გაზეთი “რეზონანსი” N181).

გრეგორი ჰერეკის (G. Haereck) აზრით, ჰომოსექსუალობა, ისევე როგორც გენდერი, სოციალური კონსტრუქტია. “იყო ჰომოსექსუალი, ნიშნავს თამაშობდე ისეთ როლს, რომელსაც მოცემული საზოგადოება აღიქვავს ჰომოსექსუალობად.” ჰომო/ბი/ტრანსექსუალობის შესახებ სხვადასხვა მითების გავრცელებით მედია ხელს უწყობს ამ ადამიანების სტიგმატიზაციას და ამით ხელს უშლის მათ ნორმალურ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

წინამდებარე კვლევ არ ითვალისწინებდა ჰომოსექსუალობის შესახებ გავრცელებული მითების კვლევის კატეგორიებში ჩართვას. თუმცა, როგორც მასალის კვლევამ აჩვენა, სხვადასხვა მედია-საშუალებების მიდგომა საკითხთან იმდენად სტანდარტულია, რომ შესაძლებელია ამ მითების ცალკე კატეგორიებად გათვალისწინება მომავალ კვლევებში და მისი რაოდენობრივი ანალიზი. ამჯერად კი მხოლოდ ქართული მედიის მიერ ტირაჟირებული მითებისა (რომლებიც ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი შინაარსისაა) და სტერეოტიპების ჩამონათვალით შემოვიფარგლები:


- ა) ჰომოსექსუალიზმი დამანგრეველი მოვლენაა, რომელიც ემუქრება ქვეყნის მომავალს, წარმოადგენს დემოგრაფიული კატასტროფის წინაპირობას
- ბ) ჰომოსექსუალისტთა რიცხვი მოიმატებს, თუ საზოგადოება არ განაცხადებს ხმამაღლა, რომ ჰეტეროსექსუალურობა ურთიერთობის ერთადერთი სწორი ფორმაა.
- გ) საქართველოში მცხოვრები ჰომოსექსუალები მოდის გამო იცვლიან ორიენტაციას.
- დ) სექსუალური ექსპერიმენტები საშიში მოვლენაა. თუ თქვენ ერთხელ მაინც გექნებათ ჰომოსექსუალური კონტაქტი (თუნდაც თქვენი ნების წინააღმდეგ), თქვენი სექსუალური ორიენტაცია შეიცვლება.
- ე) ჰომოსექსუალობა დაავადებაა, რომელიც სამედიცინო ჩარევის შედეგად შეიძლება განიკურნოს.
- ვ) გეისა და ლესბოსელის ამოცნობა ყოველთვის შეიძლება გარეგნობითა და ქცევის მანერებით. ყველა გეი ზედმეტად ემოციური, იმპულსური მამაკაცია, ხელოვნურად დაყენებული ხშირად და ყალბი მანერებით. იგივე სტერეოტიპის მიხედვით, ყველა ლესბოსელი არის მამაკაცური ქალი.

ზ) შოუ-ბიზნესსა და პოლიტიკაში არსებობს გეგმის მაფია, რომელიც ხელს უშლის  
ჰეტეროსესუალებს კარიერაში.

თ) ყველა ჰომოსესუალი უწესრიგო სესუალურ ცხოვრებას ეწევა. მათ შორის არ არიან  
მონოგამიური წყვილები.

ი) ლესბოსელები კაცებზე განაწყენებული ქალები არიან, ან განვლილი ცხოვრების მანძილზე  
არასოდეს შეხვედრიათ “ნამდვილი” მამაკაცი.

“როგორც საყოველთაოდ ცნობილია...” (ადრესანტები)



ფუკოს (M. Foucault) აზრით, სექსის დისკურსში შემოტანისას, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რას და როგორ ამბობენ, არამედ ისიც, თუ ვინ საუბრობს. კვლევის პერიოდის გათვალისწინებით, პოლიტიკოსთა დამოკიდებულებაზე უკვე ვისაუბრეთ (5%). შოუ-ბიზნესის ადგილობრივ წარმომადგენელთა განცხადებები (5%) კი “ჰომოსექსუალობას მამრალეზენ, მაგრამ ჰეტეროსექსუალი ვარ” ფრაზებით ამოიწურება. მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელთა შეფასება (3%) ცალსახა და ერთმნიშვნელოვანია. თუმცა, ეკლესია დასაშვებად მიიჩნევს “საკუთარ წიაღში მიიღოს მონაწიე ცოდვილი, მაგრამ ცოდვის პროპაგანდას არავის აპატიებს”. რაც შეეხება ორ ყველაზე უფრო დიდ ჯგუფს ჟურნალისტი/რედაქცია (58%) და ექსპერტები (21%), ამაზე ცალკე ვისაუბრებთ, რადგან როგორც გამოჩნდა, სწორედ ეს ორი ჯგუფი განსაზღვრავს მთლიან ნეგატიურ სურათს.

სიტუაციის შეფასებისა და მედიის მიერ შექმნილი რეალობის ლეგიტიმიზაცია ორნაირად ხდება. ერთ-ერთი მეთოდი ექსპერტთა მოსაზრებაზე აპელირებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტს ჰომოსექსუალიზმსა და ჰომოსექსუალებზე ყვითელი პრესა საუბრობს (61%), ექსპერტებს ძირითადად საზოგადოებრივ პოლიტიკური პრესა მიმართავს. ჰოლისა და კრიტიკის აზრით (Hall S., Critcher C.) ექსპერტებისა და მედიის ურთიერთმიმართების განხილვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ორი მომენტი. ერთი მხრივ მედია ახდენს ექსპერტის აზრის ობიექტივაციას და კონკრეტული ექსპერტის მოსაზრებას საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს. მეორე მხრივ, მედია თავად საუბრობს ხალხის სახელით, რაც გაზეთის პოზიციის ლეგიტიმირებას ახდენს (“მედია საზოგადოების სარკეა”). შესაბამისად, ექსპერტები და სხვა ოფიციალური წყაროები ეყრდნობიან გაზეთის პოზიციას, როგორც საზოგადოებრივი აზრის ობიექტურ გამოხატულებას.

საზოგადოდ, მსგავსი ტიპის კვლევების დროს, ივლისხმება, რომ ექსპერტთა ჯგუფში მოიაზრება ჩვენს მიერ ცალკე კატეგორიად გამოყოფილი რესპოდენტები. კერძო ექსპერტის როლში შეიძლება გამოვიდეს თავად LGBT ჯგუფის წარმომადგენელი, პოლიტიკოსი და სხვ. სიტუაციის უკეთ ანალიზის მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში ექსპერტების ჯგუფში გავაერთიანეთ მხოლოდ სამედიცინო დარგის პროფესიონალები (გამოყვავით სამი ქვეკატეგორია: ფსიქოლოგი, სექსოლოგი, ვენოროლოგი).


სამედიცინო დარგზე იმდენად კეთდება აქცენტი, რამდენადაც, როგორც კვლევამ აჩვენა, რელიგიურის გარდა, საკითხი მხოლოდ ერთ ასპექტში განიხილება. კამათისა და მსჯელობის საგანი უპირატესად ჰომოსექსუალობის დაავადებად აღიარება/არაღიარებაა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჟურნალისტების გამორჩეულად საყვარელი ექსპერტი, რომელსაც ფსიქოლოგებსა და სექსოლოგებზე უფრო ხშირად ეკითხებიან აზრს, ცნობილი ვენოროლოგია, რომელსაც მორალზე საუბარი და ერის დამომღვრა უფრო მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნია, ვიდრე რეალურ ფაქტებზე საუბარი. მოსწონს სიტუაციის დრამატიზირება და აპოკალიფტური სურათის დახატვა. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესიონალი ექიმი, რომელიც გამუდმებით პროსტიტუციის მასშტაბებსა და სქესობრივი გზით დაგამტანი დაავადებების საფრთხეზე საუბრობს, კატეგორიული წინააღმდეგია “სქესობრივი აღზრდის” სწავლებისა უფროს კლასებში: *“იმ ამერიკელებმა, გარყვნილებისათვის რომ იყვნენ გამოყრილი თავიანთი ქვეყნიდან, შეადგინეს ბროშურები... იქ იყო მკითხვები და პასუხებიც. მაგ. რა არის სექსი, მასტურბაცია, ლესბიანიზმი, ჰომოსექსუალიზმი... პასუხები იმდენად საინტერესო იყო,*

*რომ აუცილებლად აღუძრავდა მოზარდს, პრაქტიკულად ენახა იგი...?;* ექსპერტი ერთ რანგში განიხილავს პროსტიტუციას და ჰომოსექსუალიზმს. როდესაც ქვეყანაში არსებულ სტატისტიკაზე საუბრობს, თითქმის ყოველთვის მიმართავს სელექციურ ტიპიზაციას. მაგ: *“გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქალების 58% პროცენტი მეძავი იყო, მამაკაცთა 30% კი - ჰომოსექსუალისტი”*. ამ ექსპერტის პოპულარობა მედია საშუალებებში ალბათ იმით აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში, ექსპერტი ამბობს იმას, რასაც მისგან ელოდებიან. ამ შემთხვევაში პრესა დაინტერესებულია არა ობიექტური სინამდვილის წარმოჩენით, არამედ მის მიერ შექმნილი სურათის ლეგიტიმაციით სასურველი ექსპერტის მეშვეობით.

სიტუაციის ლეგიტიმაციისათვის პრესის მიერ გამოყენებული მეორე მნიშვნელოვანი სტრატეგია დისკურსის მონოპოლიზებაა. სტატიებში, რომელიც რედაქციას ეკუთვნის, ან ჟურნალისტური ანალიზია ხშირად მეორდება სიტყვები: *“როგორც ყველასათვის ცნობილია...”, “ყველგან, ყველა ქვეყანაში...”*. ამგვარად, ხდება დისკურსის ნეიტრალიზება და საკუთარი მოსაზრების წარდგენა, როგორც ერთადერთი მისაღები დისკურსისა.

## თვითრეპრეზენტირების შესაძლებლობა



პიერ ბურდიეს (P. Bourdieu) აზრით, ცენზურა პირველ რიგში დაკავშირებულია გამოთქმის შესაძლებლობაზე, რომელიც გამწვანებულია ან მიუწვდომელია გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლებისათვის. თუ ყვითელ პრესას არ ჩავთვლით (ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს რაიმე სპეციალური გამოცემა LGBT ადამიანებისათვის, ინტერნეტ-ჟურნალის ერთი ნომრის გამოკლებით, რომელზედაც საკმაოდ მცირე ჯგუფს მიუწვდება ხელი) შეიძლება ითქვას, რომ LGBT ადამიანებს ნაკლებად აქვთ საკუთარი თავის რეპრეზენტირების შანსი სერიოზულ ქართულ მედიაში. მათ შესახებ და მათი სახელით საუბრობენ ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, ექიმები, რელიგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები, მათი ოჯახის წევრები, შემთხვევითი რესპოდენტები... ყველა, ვისაც არ ეზარება ამის შესახებ აზრის გამოთქმა. თუ პროცენტულ შეფარდებას გავითვალისწინებთ, LGBT ადამიანები ადრესანტთა მხოლოდ 21%-ს შეადგენენ (მათ შორის 50% ლესბოსელია, 36% გეი, 14% - ბისექსუალი). ერთი შეხედვით, ეს არც თუ ისე მცირე პროცენტია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის მასალების 35% ეროტიულ ჟურნალშია დაბეჭდილი, დანარჩენი 75% კი – ჟურნალ “სარკეში”, რომელიც ყვითელ პრესას წარმოადგენს. საკვლევი პერიოდის განმავლობაში არც ერთ ჩვენს მიერ გამოკვლეულ სერიოზულ გამოცემაში არ შეგვხვდრია არც ინტერვიუ ჰომო/ბი/ტრანსექსუალ ადამიანთან, ან ამ ადამიანის მიერ დაწერილი სტატია ჩვენთვის საინტერესო თემაზე.

## დასკვნა

- საზოგადოებრივ პოლიტიკური პრესისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა თავად ჰომოსექსუალობას, არამედ “არატრადიციული” სექსუალობის საზოგადოებრივ პრობლემად ქცევის პროცესს. შესაბამისად, ისინი მეტ ადგილს უთმობენ ზოგადი ხასიათის საუბრებს ჰომოსექსუალობაზე მოწვეული ექსპერტების საშუალებით. მიმართავენ დისკურსის მონოპოლიზების პრაქტიკას და ნაკლებად აძლევენ შანსს LGBT ადამიანებს თავად მოახდინონ საკუთარი თავის რეპრეზენტირება.
- ანალიტიკური ხასიათის პუბლიკაციებში არაჰეტეროსექსუალური ქცევა განიხილება მხოლოდ სამედიცინო და რელიგიურ ასპექტში
- LGBT-ს შესახებ სხვადასხვა მითების გავრცელებით მედია ხელს უწყობს ამ ადამიანების სტიგმატიზაციას და ხელს უშლის ქამინგ აუთის პროცესსა და მათ ნორმალურ ინტეგრაციას საზოგადოებაში.
- არ ხდება ჰომოფობიის, როგორც სოციალური პრობლემის იდენტიფიკაცია.
- LGBT ადამიანებისათვის თვითრეპრეზენტაციის საშუალებას მხოლოდ ყვითელი პრესა იძლევა. მაგრამ მათი რესპოდენტების უმეტესობა ნეგატიურად არის წარმოჩენილი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოჩენილი ტიპაჟები აძლიერებს ჰომოსექსუალის უარყოფით ხატს.

**სექსუალური თვითიდენტიფიკაცია, ინტერნალიზებული ჰომოფობია და ქამინგ აუთის პრობლემები (ინტერვიუების ანალიზი)**

იმის თაობაზე, თუ როდის გააცნობიერეს საკუთარი ჰომოსექსუალური ორიენტაცია, თითქმის ყველა ინტერვიუერი სხვადასხვა ასაკს ასახელებს. თუმცა, შეინიშნება ერთი ტენდენცია, რომელსაც მეცნიერთა უმრავლესობა ეთანხმება - ჰომოსექსუალი მამაკაცები სექსუალური ორიენტაციის გააცნობიერებას ადრეულ სიჭაბუკეში იწყებენ, ქალები კი უფრო უფრო გვიან აცნობიერებენ ამას. (Dank, 1971; Weinberg, 1978; Cass, 1979; Stanley, Wolfe, 1980)

ლესბოსელთა ისტორიებიდან ჩანს, რომ ორი შემთხვევის გარდა, მათ საკმაოდ გვიან გააცნობიერეს საკუთარი სექსუალური ორიენტაცია, ხშირ შემთხვევაში წარუმატებელი ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის შემდეგ:

*“ორიენტაცია შევიცვალე და იცი რატომ? მამაკაცთან ურთიერთობის შემეშინდა, რადგან ერთხელ სასტიკად გამიტყდა გული და მეორეჯერ ასეთ რამეს ვეღარ გადავიტანდი... ნელ-ნელა დავრწმუნდი იმაში, რომ ქალი ქალს უფრო გაუგებს, ვიდრე კაცი ქალს. ნ.გ 25 წლის.”*

*“მეგონა რომ მიყვარდა ერთი სიმპათიური მამაკაცი, რომელმაც ცოლი მოიყვანა. დეპრესიაში არ ჩავვარდნილვარ. თუმცა, გული ნამდვილად დამწყდა. ზუსტად ამ პერიოდში დავუახლოვდი ჩემი დის მეგობარს... მაშინ 24 წლის ვიყავი... ერთმანეთის მიმართ გაჩენილი მეგობრული განცდა ურთიერთლოცვაში გადაიზარდა. ჩვენ ეს პროცესი ხელოვნურად არ დაგვიჩქარებია, უბრალოდ, მოგვინდა ერთად ყოფნა და საკუთარ გრძნობებს წინააღმდეგობა არ გავუწიეთ. თათა. 36 წლის”*

*“...მამაკაცის სახსენებელიც კი შემბუღდა. სწორედ მაშინ აღმოვაჩინე, რომ შეიძლება ქალებსაც უყვარდეთ ერთმანეთი. თანაც, მარტო სულიერად არა... ეტყობა, ჩემში ყოველთვის იყო რაღაც მამაკაცური. შესაფერისმა გარემომაც შემიწყო ხელი... ამ აღმოჩენამ თავიდან გამაგოჟა. კატასტროფასავით იყო. სამყარო რომ ორად გაიხლიჩოს და შენ შუაში აღმოჩნდე გაჩხერილი, დაახლოებით ასეთი რაღაცაა, ოღონდ შემიყვარდა ნამდვილი, დიდი სიყვარულით. Yნატა. 41 წლის.”*

*“ნინოს დიდი ხანია ვიცნობ. ჩვენ ერთი სოფლიდან ვართ, ერთნაირი ინტერესები გვაქვს, ორივე განათხოვრები ვართ. ჯერ ნინო გათხოვდა, მერე - მე. იმ პერიოდში ჩვეულებრივი მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა. ერთხელ ნინოს შეაგვიანდა და ჩემთან დარჩა. მთელი ღამე ვლაპარაკობდით, ერთმანეთისთვის თითი არ დაგვიკარებია და დილით გადავწყვიტეთ, რომ ქმრებს გავყროდით - ისინი არ გვიყვარდა. მე სულელურად გავთხოვდი, ნინოც გარიგებით იყო გათხოვილი. რამდენიმე კვირაში მისი ქმარი ავარიაში დაიღუპა და გამოვუტყდი, რომ მიყვარდა. ამ გრძნობის დაფარვის სურვილი აღარ მქონდა. ნატო, 25 წლის.”*

სტენლისა და ვოლფის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ლესბოსელი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში აცნობიერებს საკუთარ ორიენტაციას, ხშირ შემთხვევაში ისინი თვლიან, რომ მათი ლტოლვა ქალების მიმართ მხოლოდ დროებითი ფაზაა (Stanley, Wolfe, 1980).

*“...ჩემი და მისი სიახლოვე არც დაგეგმილი გახლდათ, არც იძულებითი ან შემთხვევითი - მაშინ ეს სავსებით ბუნებრივი, ოდნავ ირეალური და... განსაცვიფრებლად უნაზესი იყო... პირველი, რაც დილით გამოღვიძებისთანავე გავიფიქრე, ეს იყო: ”ღმერთო ჩემო, მე ნამდვილად ლესბოსელი ვარ! ახლა ველარასოდეს გავთხოვდები, შვილსაც ვერ გავაჩენ... დედა როგორ შეხვდება ამ ამბავს”? შემდეგ კი მან გაიღვიძა, გამიღიმა, ცხვირზე მაკოცა და მითხრა: ”მართლა საოცარი იყო, ხომ”? სწორედ მაშინ ვიგრძენი მკაფიოდ, რომ ორივე ცოტათი შევიცვალეთ... აქვე აღვნიშნავ, რომ გათხოვებას (ცხადია, მამაკაცზე) და აბსოლუტურად ნორმალური ოჯახის შექმნას ვაპირებ იზა. 26 წლის”*

ერთ-ერთი გეი ყვება, რომ რომ მის ორიენტაციაზე ბავშვობაში მომხდარმა ძალადობის ფაქტმა იმოქმედა, რაც მეცნიერულად დასაბუთებული არაა. საგულისხმოა, რომ რესპოდენტი საკუთარ ჰომოსექსუალობას დაავადებად აღიქვავს და სავარაუდოდ ამ ფაქტის ხაზგასმამ მისთვის საკუთარი “არაბუნებრივი” ქცევის გასამართლებლად სჭირდება.

*“14 წლის ვიყავი, როცა მომიხდა შემთხვევა – კასპში ნათესავმა გამაუპატიურა, ჩემზე უფროსი იყო. შემაცდინა. სწორედ მას მერე დაიწყო ყველაფერი. 50 წლის. გ.მ.”*

არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებს, რომ ბავშვობიდანვე გრძობდა საკუთარ განსხვავებულობას, რაც ნაკლებად სავარაუდოა. ადრეულ ასაკში ბავშვი ჰეტეროსექსუალური როლური მოდელების გარემოცვაშია. დაშვება, რომ ყველა ჰეტეროსექსუალია, თითქმის გარდაუვლად აჩვევს ბავშვს, საკუთარი თავიც ასეთად აღიქვას, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო (W. Masters., V. Johnson).

რესპოდენტები საუბრობენ ჰომოსექსუალობის წარმოშობის შესახებაც. მიზეზები, რომლებსაც ისინი ასახელებენ (არასწორი ურთიერთობები მშობლებს შორის, ჰორმონალური დარღვევა, საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან სექსის ნეგატიური გამოცდილება...) საკმაოდ მრავალფეროვანია.

*“მე ღრმა ბავშვობიდანვე ქალური მანერები მახასიათებდა. თავიდან მეგონა, რომ ეს იმის ბრალი იყო, რომ მამა ადრე გარდამეცვალა და სულ ქალებთან ვიზრდებოდი. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მამა ცოცხალი რომც მყოლოდა, არც ეს მიშველიდა, რადგან ჰომოსექსუალისტად დავიბადე და მამაკაცური თვისებები ჩემში თითქმის არ არის. ეს ნამდვილად თანდაყოლილია. ირაკლი. 24 წლის.”*

*“მე ვთვლი, რომ ეს ჰორმონების სიჭარბეა და ის, რომ საპირისპირო სქესის ადამიანებთან ვერ ვამყარებ ურთიერთობას, არა მგონია ჩემი ბრალი იყოს. რა თქმა უნდა, ამას ძალიან განვიცდი, მეც მინდა ისეთი ვიყო, როგორც უმრავლესობაა. ნატა. 28 წლის”*

*“- მე ძალიან არასასიამოვნო ცხოვრება მქონდა. 16 წლის რომ ვიყავი, ერთ ბიჭს ვუყვარდი, რომელიც ჩემთვის არასასურველი პიროვნება იყო... რამდენჯერმე ცოლობა მთხოვა, მაგრამ უარს ვუღებებოდი. ერთხელაც, როცა კიდევ უარი მიიღო, არაფერს მოერიდა და გამაუპატიურა, რის შემდეგაც კაცის სახსენებელი შემძულდა*

*- ლესბოსელად გახდომა იმიტომ გადაწყვიტე რომ გაგაუპატიურეს?*

*- არა, არ გადამიწყვეტია. ეს თავისით გადაწყდა. კაცისადმი საშინელმა სიძულვილმა განაპირობა, რომ მე ლესბოსელი გავხდი. ანა. 20 წლის.”*

*“... მამის ასეთი ზეწოლისა და აგრესიულობის გამო სულ დედასთან ვიყავი, მას ვუყურებდი და ყველა მაგალითს მისგან ვიღებდი. არასოდეს მომდომებია მამაჩემს დავმსგავსებოდი... დათო. 21 წლის”*

საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გაცნობიერება არ ნიშნავს მასთან ავტომატურად შეგუებას.

ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებაში არსებული მკაცრი გენდერული როლები და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება “განსხვავებული” სექსუალობებისადმი ბევრი ჰომოსექსუალისათვის საკუთარი თავის არასრულფასოვნად განცდაში აისახება.

*“ვცდილობდი შევგუებოდი იმ აზრს, რომ არასწორი ორიენტაციის ადამიანი ვარ. მართალია, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ შევძელი. ხელახლა მცდელობამ იმისა, რომ ნორმალურ ადამიანად ვიქცე, შეიძლება თვითმკვლელობამდე მიმიყვანოს... რომ მქონდეს იმის გარანტია, რომ 100%-ით განვიკურნები, არაფერს დავიშურებ. ნატო. 28 წლის.”*

*“ჩვენ ისედაც ბუნებისაგან დაჩაგრულები ვართ და ძალიან მძიმე ცხოვრება გვაქვს. მართალია, ბევრი ჰომოსექსუალისტი ამას ვერ აცნობიერებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ექნებათ პერიოდი და ისინიც ჩემნაირად იმსჯელებენ. დათო. 21 წლის”*

*“ეს ავადმყოფობაა, მოურჩენელი, ცხოვრებაში ხინჯად უნდა გქონდეს... მქონდა მომენტები, როცა ვცადე ამ გზიდან გადამეხვია. ერთი წელი არავისთან ვყოფილვარ, რუსეთში წავიდი, თავს ვიკავებდი, მაგრამ, როცა დავლიე, ისევ შეიცვალა ყველაფერი. ვიტყვი, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ტვინში რაღაცა გადამეკეტება და... 50 წლის. გ.მ.”*

*“არც კი ვიცი, რა გავაკეთო. ჩემი თავი მეზიზღება და მეცოდება კიდევაც. რომ ვიცოდე, რაიმე წამალი არსებობს ამ საშინელებისაგან განსაკურნავად, დავლევდი და ყველაფერს დავვიწყებდი... არ მინდა, იმ მცირერიცხოვან ადამიანთა რიცხვს შევუერთდე, რომლებსაც არავის ესმის, ყველა ერიდება, როგორც კეთროვანებს და თავადაც რცხენიათ საკუთარი თავის.*

მე კი არ მინდა, ჩემი თავის მრცხვენოდეს. სიცოცხლე ძალიან მიყვარს... ამიტომ მინდა განკურნება. ანა. 16 წლის.”

ინტერვიუერთაგან მხოლოდ სამი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ისინი ნორმალურად აღიქვავენ საკუთარ ორიენტაციას და არა აქვთ შინაგანი კონფლიქტი. აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანი ლესბოსელია (ასაკი 25, 36, 41 წლის).

“- ლესბოსელებს, როგორც “გეებს”, ფსიქოლოგები ავადმყოფი ფსიქიკის ადამიანად მიიჩნევენ. თქვენ როგორ ფიქრობთ?  
- ყველაფერი პირობითია, მათ შორის ადავმყოფობაცა და ჯანმრთელობაც. მე ისეთი ვარ, როგორც ვარ და ეს სავსებით მაკმაყოფილებს. თათა. 36 წლის”

“თავდაპირველად ცნობისმოყვარეობისა თუ სიყვარულის გამო შევცოდე ქალთან, მაგრამ სრულებით არ ვნანობ. ისე არ გამიგოთ, თითქოს ლესბოსურ სიყვარულს ვქადაგებდე. არა, ამას ნამდვილად არ ვაკეთებ. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, ცუდია-მეთქი. ნატა. 41 წლის”

“- ანუ, კმაყოფილი ხარ შენი ორიენტაციით?  
- რომ არ მოგატყუო, ნამდვილად ასეა. (იციან). მყავს პარტნიორი, რომელთანაც თავს სრულიად ბედნიერად ვგრძნობ. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ და გადასარევად ვეწყობით ერთმანეთს. ნატა. 25 წლის”

საკუთარი სექსუალობის გაცნობიერებისა და მასთან შეგუების მსგავსად, "იატაკვემეტიდან გამოსვლაც" ხანგრძლივი, ხშირ შემთხვევაში მტკივნეული პროცესია. ზოგს უკვე გადალახული აქვს ბარიერი, ზოგსაც ეშინია მშობლების, ახლობლების, გარშემომყოფთა მოსალოდნელი რეაქციისა. განიცდის, რომ ვერასოდეს შექმნის “ნორმალურ” ოჯახს...

“ცუდად ვხდები იმის წარმოდგენაზე კი, ეს ამბავი ვინმემ რომ გაიგოს. რა მელოდება? ალბათ, ჩაქოლვა და ჯოჯოხეთი. იმ გოგომ რომ გაიგოს, ვიცი, აღარასოდეს გამოიხედავს ჩემსკენ. მშობლებიც მეცოდებიან რომ გაიგონ, მათი შვილი როგორია, ან თავს მოიკლავენ, ან მე მომკლავენ. ანა. 16 წლის.”

“მე სახლიდან წამოვედი და ჩემი ცხოვრება მთლიანად ჩემზეა დამოკიდებული. მათ იციან, რომ მე ვიღაც მყავს, ხოლო ვინ არის და რა სქესისაა, არ იციან. მე აღარ მაქვს მათთან ურთიერთობა. რომც გაიგონ ჩემი ცხოვრების შესახებ, არც ეწეებათ უფლება რამე დამიშალონ, რადგან ზრდასრული ადამიანი ვარ... მე აღარ ვაპირებ ვიცხოვრო, ან რჩევა ვკითხო ადამიანებს, რომლებიც გამადლიან, რომ გაგაჩინეს. ნ.გ. 25 წლის”

“- ვინმემ იცის თქვენი სექსუალური ორიენტაციის შესახებ?  
- თუ ჩემს ქალიშვილს გულისხმობთ, იცის და მისთვის ეს პრობლემა არაა. დანარჩენების აზრი კი არ მაინტერესებს. ნატა. 41 წლის.”

“ფსიქოლოგი პირველი ადამიანი იყო ვისთანაც ამაზე ვისაუბრე მან ჩამიტარა რაღაც კურსები, რის შედეგადაც ცოტა გულზე მომეშვა. ირაკლი. 24 წლის”

“მე შევეგუე იმ აზრს, რომ არ შემძლია შევქმნა ოჯახი, რადგან ვერასოდეს ვიცხოვრებ მამაკაცთან. თუ ვიცხოვრებ, საშინლად დამაბული ცხოვრება მექნება. ნატო. 28 წლის.”

“ნატო (25): “ამის შესახებ ჩემს ქმარს ვუთხარი, მან მამაჩემს უამბო და ახლა, როგორც ხედავ, ჩემი სახლი ეს არის. ბარში მიმტანად ვმუშაობ. მშობლებმა ბოლომდე ვერ გამიმეტეს და ფულით მეხმარებიან, მაგრამ არ სურთ, რომ ჩემთან ერთად იცხოვრონ, სანამ ”გონზე არ მოვალ”.

ნინო (23): “ჩემებიც რაღაცას ხვდებიან, მაგრამ თვალს ხუჭავენ. ამ სიტუაციაში ყველაზე უფრო უმცროსი ძმა მედარდება. არ მინდა, ეს გაიგოს. მე და ნატო საზღვარგარეთ წასვლაზე ვოცნებობთ. იქ დასამალი არაფერი გვექნებოდა”.

*“ხან სწავლას ვიმიზეზებ, ხან ღირსეული ბიჭების დეფიციტს. მამაჩემმა ჩემი მიდრეკილების შესახებ რომ გაიგოს, სიკვდილი არ ამცდება. კ. 28 წლის”*

კოლემანის (ჩოლემან), ვარაუდით, რომ ჰომოსექსუალ წყვილებს უჭირთ ერთად ცხოვრება, რადგან არ აქვთ როლური მოდელები, რომლებსაც შეიძლება მისდიონ და იმიტომ, რომ "საზოგადოება კიცხავს ასეთ ურთიერთობებს." ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ინტერვიუები ნაკლებს ლაპარაკობენ პარტნიორული ურთიერთობის სირთულეებზე და ამ ურთიერთობის აღწერა ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ შეფასებითი მოდულით ამოიწურება.

*(ლესბოსური სიყვარულის დროს, მთავარი ერთგულებაა. თუ პარტნიორთან ხანგრძლივი ურთიერთობის სურვილი გაქვს, არ უნდა უღალატო. მე და N თითქმის 4 წლის მანძილზე ვიყავით ერთად. წვეულებებზეც დავდიოდით, კინოში, თეატრში, ბაღში ვათენებდით ღამეებს... ეს ძალიან რომანტიკული იყო. N გრძნობდა, რომ, მისთვის იმდენი შემეძლო მიმეცა, რამდენსაც ვერც ერთი მამაკაცი ვერ გაიმეტებდა. თათა. 36 წლის.)*

*(მყავს პარტნიორი, რომელთანაც თავს სრულიად ბედნიერად ვგრძნობ. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ და გადასარევად ვეწყობით ერთმანეთს. ნატა. 25 წლის)*

ურთიერთობის ლეგიტიმაციას მხოლოდ ერთი ინტერვიუერი ეხება და ისიც, გაკვრით.

*(ერთსქესიანთა ქორწინების მომხრე არც ქართველი ლესბოსელები არიან. "რომ ვიქორწინოთ, ლინჩის წესით გაგვასამართლებენ ან მორალურად გაგვანადგურებენ", - მწერს ერთი გოგო. თავისი ფარული ცხოვრების გამო ის საზოგადოების მხრიდან ჯერჯერობით დისკრიმინაციას არ განიცდის, თუმცა დარწმუნებულია, რომ სექსუალურ უმცირესობათა უფლებებზე საუბარი ძალზე ნაადრევია. 2005/10/13)*

## შეჯამება

- 1) ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებაში არსებული შიში და სიძულვილი "განსხვავებული" სექსუალობებისადმი ჰომოსექსუალთა უმეტესობისათვის საკუთარი თავის არასრულფასოვნად განცდაში აისახება.
- 2) საკუთარი თავის რეპრეზენტირებისას ხშირ შემთხვევაში სარგებლობენ იმავე ტერმინოლოგიით, როგორც ჰომოფობები. ხშირ შემთხვევაში თავად ამჟღავნებენ ჰომოფობიურ დამოკიდებულებას როგორც საკუთარი თავის, ისე ზოგადად სექსუალური ქცევის სხვა ფორმების მიმართ.
- 3) მათ საუბრებში მეტად მცირე ადგილი უკავია სექსუალური, სხეულებრივი გამოცდილებისა და პარტნიორული ურთიერთობების აღწერას.
- 4) ინტერვიუერთა უმეტესობა ტრანსვირებული, მარტოსული ადამიანია, ან კარგად შენიღბული წყვილი. ისინი არ საუბრობენ ქამინგ აუთის, ქომუნითის არსებობის, ურთიერთობის ლეგიტიმაციის ან უფლებათა დაცვის აუცილებლობაზე. სამოქალაქო აქტივობას უმეტესობა ჩრდილში დარჩენას ამჯობინებს.

ეკა აღდგომელაშვილი

კვლევა დაფინანსებულია ILGA-Europe-ს მიერ.